ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N7

2022 წლის 02 ივნისი ქ. ლაგოდეხი

სხდომას დაესწრნენ: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ნათია დათუკიშვილი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი ივანე წიქარიშვილი.

მოისმინეს: 1. „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N 9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს.

მოისმინეს: 2. „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N 46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ნ. დათუკიშვილი განმარტავს, რომ საკითხი ეხება, პირის ცხოვრების ფაქტის დადასტურებას, შესაბამის მუხლებში შესწორება შედის, რაც გამოწვეულია კანონმდებლობაში შესული ცვლილების გამო.

კენჭისყრაზე საკითხს მხარი ერთხმად დაუჭირეს.

მოისმინეს: 3. „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N 52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ნ. დათუკიშვილი განმარტავს, რომ საკითხი ეხება, ზემოთ აღნიშნული სამსახურის მიერ სამართლებრივი დოკუმენტის მომზადებისა და ვიზირების წესის ნაწილში ცვლილების შეტანას.

კენჭისყრაზე საკითხს მხარი ერთხმად დაუჭირეს.

მოისმინეს: 4. „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N 48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრაზე საკითხს მხარი ერთხმად დაუჭირეს.

მოისმინეს: 5. „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N 35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ნ. დათუკიშვილი განმარტავს, საკითხი ეხება კანონმდებლობაში ცვლილების გამო დებულების შესაბამისობაში მოყვანას.

კენჭისყრაზე საკითხს მხარი ერთხმად დაუჭირეს.

მოისმინეს: 6. „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N 50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ნ. დათუკიშვილი განმარტავს, რომ წინა საკითხების მსგავსად საკითხი ეხება ვიზირების წესს და ასეთი ცვლილებები კონტროლის მექანიზმის გაუმჯობესებას ემსახურება.

კენჭისყრაზე საკითხს მხარი ერთხმად დაუჭირეს.

მოისმინეს: 7. „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სამართალდარღვევის ოქმის ბლანკის გასავლის/მიღების ჟურნალების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 03 აგვისტოს N 65 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრაზე საკითხს მხარი ერთხმად დაუჭირეს.

მოისმინეს: 8. „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესისა და გარე რეკლამის ნებართვის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 03 აგვისტოს N68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრაზე საკითხს მხარი ერთხმად დაუჭირეს.

მოისმინეს: 9. „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებში საქმისწარმოების დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმებისა და ტაბელის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კენჭისყრაზე საკითხს მხარი ერთხმად დაუჭირეს.

მოისმინეს: 10. „მშენებლობის სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების)თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 03 აგვისტოს N62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კენჭისყრაზე საკითხს მხარი ერთხმად დაუჭირეს.

მოისმინეს: 11. „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 03 აგვისტოს N65 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრაზე საკითხს მხარი ერთხმად დაუჭირეს.

მოისმინეს: 12. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.(ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ლელიანში მდებარე 930 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის, რომლის განაშენიანების ფართია - 495 კვ.მ, ს/კ 54.14.52.021, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზურფრუქტის ფორმით ა(ა)იპ „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კულტურისა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრისათვის“ გადაცემის შესახებ არსებობის ვადით).

კენჭისყრაზე საკითხს მხარი ერთხმად დაუჭირეს.

მოისმინეს: 13. გეოგრაფიული ობიექტების სახელდების დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

აზრი გამოთქვა ი. ხაჩიძემ.

კენჭისყრაზე საკითხს მხარი ერთხმად დაუჭირეს.

მოისმინეს: 14. სხვადასხვა

ა) ევა ლომთაძე აყენებს საკითხს მიუსაფარ ცხოველთა გამო არსებული პრობლემების შესახებ და განმარტავს, რომ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა მიუსაფარ ცხოველთა გამო. არის მოქალაქეების დაკბენის შემთხვევები. მოსახლეობა არ არის ინფორმირებული სად და ვის მიაკითხონ ასეთ შემთხვევაში. იქნებ შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი პრობლემის მოგვარების, ღონისძიებების გატარების კუთხით.

ბ) სიმონ კვერნაძე აყენებს საკითხს კოღოების მომრავლებისა და მუხლუხა ჭიის გაჩენის თაობაზე. ითხოვს სათანადო ღონისძიებების გატარებას.

საკრებულოს თავმჯდომარე [signature] კ. ჯამბურია